

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დ.მამალაძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2019წელი, 1 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: გ.ღურჯუმელიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ტ.აროშიძე, ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარე შ.გოგიბერიძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ დ.მამალაძე არის საკრებულოს პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი ლეიბორისტული პარტიიდან, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა დ.მამალაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვაში არსებულ ნაკლოვანებებს, განსაკუთრებით პირდაპირი განკარგვის წესით გასხვისებაში. გამოთქვა მოსაზრება საფეხბურთო კლუბ „მერცხალში“ არსებულ რთულ მდგომარეობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ დ.მამალაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ საგულისხმო იყო როგორც პირადად დ.მამალაძის ასევე ფრაქციის აქტიურობა მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემუშავებისას, ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარეს საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ და კოლეგებმა მ.ჩხიკვიშვილმა, ლ.მგელაძემ, ტ.აროშიძემ და სხვებმა.

ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარემ შ.გოგიბერიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დ.მამალაძის როგორც ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლის არსებობა საკრებულოს შემადგენლობაში, მის მიერ გამოთქმული წინადადებები და აზრები საყურადღებოა.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია და აღნიშნა, რომ დ.მამალაძის ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება არ ასახავდეს რეალობას, მაგრამ სასიამოვნოა, როცა საკრებულოს წევრზე ისმენს კოლეგების პოზიტიურ შეფასებებს, განსაკუთრებით ამომრჩევლებისაგან, ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ.დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 2 -ფურცლად)

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო